ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით საქართველომ, ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის, აიღო **მდგრადი განვითარების[1] ხელშეწყობის ვალდებულება და ხაზი გაუსვა ვაჭრობასთან დაკავშირებული შრომითი და გარემოსდაცვითი საკითხების მნიშვნელობას.**

აღნიშნული ვალდებულება მოიცავს, მათ შორის, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობას მდგრადი განვითარების ძირითადი ამოცანების განსახორციელებლად.[2] ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი **საერთაშორისო ვალდებულებები** სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ასევე **მოიცავს მდგრადი საჯარო შესყიდვების ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში იმპლემენტაციასაც.**

რა არის მდგრადი საჯარო შესყიდვა?

მდგრადი საჯარო შესყიდვა განმარტებულია როგორც პროცესი, რომლის დროსაც ორგანიზაციები საკუთარ მოთხოვნილებებს საქონელზე, მომსახურებაზე, სამუშაოსა და კომუნალურ მომსახურებაზე იკმაყოფილებენ ისე, რომ მიღწეულ იქნეს ხარჯთეფექტურობა მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, იმგვარად, რომ სარგებელი მიიღოს არამხოლოდ შემსყიდველმა ორგანიზაციამ, არამედ საზოგადოებამ და ეკონომიკამ, გარემოსთვის მინიმალური ზიანის მიყენების გზით.[3]

გარემოსდაცვითი განზომილებასთან ერთად, მდგრადი საჯარო შესყიდვა ასევე მოიაზრებს სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებსაც:

- **ეკონომიკური ფაქტორი** უკავშირდება მთლიანი სასიცოცხლო ციკლის დანახარჯის გამოთვლის მეთოდოლოგიის გამოყენებას. შესყიდვა უნდა იყოს ეფექტიანი, რაც ნიშნავს ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი წინადადების მიღებას;
- **სოციალური ფაქტორი** მოიცავს სოციალური თანასწორობის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის დაცულობას, ადამიანის უფლებებისა და შრომის სამართლის პრინციპების დაცვას;

---

[1] მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs), ასევე ცნობილი როგორც მსოფლიო მიზნები, შემუშავებულ იქნა გაეროს მიერ 2015 წელს, როგორც ერთგვარი ინსტრუმენტი სიღარიბესთან საბრძოლველად, პლანეტის დაცვისა და იმის უზრუნველსაყოფად, რომ 2030 წლისათვის ყველა ადამიანმა შეძლოს მშვიდობაში და კეთილდღეობაში ცხოვრება. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/sustainable-development-goals [23.08.2021].

[2] „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის N2328 განკარგულებით, მოწონებულ იქნა „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი", რომლის მიზანია მდგრადი განვითარების განხორციელების ხელშეწყობა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეროვნული პოლიტიკის დანერგვა 2030 დღის წესრიგის შესაბამისად.

[3] წყარო: Procuring the Future – the report of the UK Sustainable Procurement Task Force, June 2006. მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ დეფინიცია შემუშავებულია Marrakech Task Force-ის მიერ.

- **გარემოსდაცვითი ფაქტორი** მოიცავს ჰაერის, წყლის და ნიადაგის ემისიებს, კლიმატის ცვლილებას, ბიომრავალფეროვნებას, ბუნებრივი რესურსების სწორ გამოყენებას შესყიდვის ობიექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

ამდენად, **მდგრადი საჯარო შესყიდვა მიზნად ისახავს სათანადო ბალანსის მიღწევას მდგრადი განვითარების სამ საყრდენს – ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებს შორის.**[4]

რატომ მდგრადი საჯარო შესყიდვა?

მდგრადი განვითარება შემსყიდველი ორგანიზაციებისგან მოითხოვს საკუთარი უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების განხორციელებისას სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ასპექტების მხედველობაში მიღებას, ისე რომ არცერთი ზემოაღნიშნული ასპექტი არ იყოს დომინანტური და იქნეს ბალანსი დაცული. **შემსყიდველ ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ მდგრადი საჯარო შესყიდვების კრიტერიუმები გამოიყენონ შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე**, ბაზრის მოკვლევიდან დაწყებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლით დამთავრებული.

ამასთან, ყოველი შესყიდვა იძლევა მდგრადი განვითარების ხელშეწყობის და მისი წახალისების პოტენციურ შესაძლებლობას. შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტის რაციონალური, პასუხისმგებლიანი, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული ხარჯვა გახდება მაგალითის მიმცემი ეკონომიკური ოპერატორებისთვის, მდგრადი პოლიტიკის განხორციელების, გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების მიღწევისთვის. ეკონომიკური თვალსაზრისით, მდგრად საჯარო შესყიდვებს გააჩნია ხარჯების შემცირებისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესების პოტენციალი, რამდენადაც მხედველობაში მიიღება მთლიანი სასიცოცხლო ციკლის დანახარჯი და უკეთესი ხარისხის საქონელი უფრო დიდხანს ძლებს. შესაბამისად, მდგრადი საჯარო შესყიდვა შესაძლოა, გახდეს ინოვაციის მთავარი მამოძრავებელი და ბაზარზე მდგრადი პროდუქტების, საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების გავრცელების რეალური ინდიკატორი.

[4] გთხოვთ, იხილოთ: https://ec.europa.eu/environment/gpp/versus_en.htm [23.08.2021].